ქალაქ ბათუმის № 18 საჯარო სკოლა

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

ქ. ბათუმი ნოემბერი, 2013 წელი

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ქ. ბათუმის № 18 საჯარო სკოლა თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებითი, სამეცნიერო-კვლევით და აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი, სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სასწავლო-შემოქმედებითი ბაზების ერთიანი ქსელის შექმნას;
- საშემსრულებლო და თეორიული მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას კვლევისა და განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურებს პროფესორები, მასწავლებლები და სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო შემოქმედებითი პროექტებში ჩართული სტუდენტები და მოსწავლეები გამოიყენებენ ურთიერთშეთანხმებით.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო შემოქმედებით პროექტებს.

1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივი პროექტების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა).

1.5. განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტრივალებს, გამოფენებს, საკონცერტო წარმოდგენებსა და სხვა პროექტებს.

1.6. სკოლა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკის გავლასა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

ქ. ბათუმის № 18 საჯარო სკოლის
დირექტორი — რ. ადაძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია

ბათუმი, ი. გრიშაშვილის ქ. № 3
ტელ: + 995 (422) 25 26 11
ელ. ფოსტა: ramazadadze@gmail.com
ვებ-გვერდი: www.batumischool18.edu.ge

ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. № 37
ტელ: 593325796; 279895
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge